ხელშეკრულება №[illegible]/12/10/11

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 18 ოქტომბერს ქ. თბილისში

შემსყიდველი: **შპს „საქაერონავიგაცია“,**

აღმასრულებელი დირექტორის ევგენია მირიანაშვილის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0158, ტელ. 2 74-42-12.

საბანკო რეკვიზიტები: სს ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის კოდი 220101757; ა/ა 005467067 ს.კ. 208144051.

მიმწოდებელი -	**შპს „რონი“; საიდენტიფიკაციო კოდი 202338256;**
დირექტორი -	**ნიკოლოზ კახიძე;**
მისამართი -	**ქ. თბილისი, ასპინძის შეს. №1ა;**
საბანკო რეკვიზიტები -	**სს „პროკრედიტ ბანკი“, ვაგზლის განყოფილება, ბანკის კოდი MIBGGE22, ა/ა GE24PC0113600100022428.**

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ქ. ბათუმის აეროპორტში, შპს „საქაერონავიგაციის“ სატრანსფორმატორო ქვესადგურის შენობაზე გადახურვისა და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულება (CPV 45261210). შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (ხარჯთაღრიცხვა) ღირებულების მითითებით მოცემულია დანართი №1-ის სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 19646.39 ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს.

3. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება სამუშაოების შესრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ფორმა №2-ის ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთან მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
3.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
3.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

4. სამუშაოების შესრულების ვადა

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 კვირის ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
5.1.1. საკუთარი ხარჯით მოიწვიოს სერტიფიცირებული სპეციალისტები ან/და სპეციალიზირებული ლაბორატორიები მიმწოდებლის მიერ მშენებლობის პროცესში

გამოყენებული სამშენებლო მასალების ხარისხის, მათი ვარგისიანობის და სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესის შემოწმების მიზნით.
5.1.2. ჰყავდეს წარმომადგენელი მშენებლობის ობიექტზე.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**
5.2.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შეუფერხებელი შესრულება ობიექტზე, არ დაუშვას მესამე პირთა მხრიდან სამუშაოთა შესრულების პროცესის შეფერხება.
5.2.2. მიიღოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და მოცულობით.

5.3. **მიმწოდებელი ვალდებულია:**
5.3.1. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ით გათვალისწინებული სამუშაოები დადგენილ ვადებში ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
5.3.2. სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

6. ობიექტის დაცვა და შენახვა

6.1. სამუშაოების დაწყებიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ობიექტის, მასალებისა და მოწყობილობების, სამუშაოების, სამშენებლო ტექნიკის, ხარჯვითი მასალების, დროებითი შენობებისა და ნაგებობების დაცვასა და შენახვაზე.
6.2. სამუშაოთა დასრულების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ობიექტის დაცვისა და შენახვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს შემსყიდველი.

7. სამუშაოთა უსაფრთხოება

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებში ჩართული მიმწოდებლის პერსონალის ჯანმრთელობის ან სიცოცხლისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ რისკებს გასწევს მიმწოდებელი.

8. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირებს: ზ. აბესაძე, ა. ფოჩხუა, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ ინსპექტირების ჩატარების დროს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობით.
11.2. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გულგრილი ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად შემსყიდველისათვის და/ან მესამე მხარისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში.
11.3. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების შეუსრულებლობის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

12. დავათა განხილვის წესი

12.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. საგარანტიო ვადა

14.1. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი დეფექტის (ნაკლის) აღმოფხვრა შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

14. ზოგადი დებულებები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს;
14.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით;
14.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველის მხრიდან	**მიმწოდებლის მხრიდან**
შპს „საქაერონავიგაცია“	შპს „რონი“
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი ნიკოლოზ კახიძე
ევგენია მირიანაშვილი	

ქ. ბათუმის აეროპორტში შპს "საქაერონავიგაციის" სატრანსფორმატორო ქვესადგურის შენობაზე გადახურვისა და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა

თარიღი: 18/10/2011 *დანართი №1*

ხელშეკრულება №მომს/12/10/2011

№	დასახელება	განზ.	რაოდენობა პროექტით	ღირებულება (ლარებში)						სულ ჯამი (ლარი)
				მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	ამორტიზებული ონდოლინის გადახურვის დემონტაჟი	მ2	230.00	0.00	0.00	1.30	299.00	0.00	0.00	299.00
2	მეტალო კრამიტისთვის დაზიანებული კონსტრუქციების შეკეთება	მ2	38.00	13.45	511.10	6.40	243.20	1.50	57.00	811.30
3	მეტალოკრამიტის სახურავის მოწყობა (მწვანე)	მ2	230.00	28.30	6,509.00	14.00	3,220.00	2.50	575.00	10,304.00
4	მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით პარაპეტების მოწყობა	მ2	87.00	12.86	1,118.82	9.76	849.12	2.50	217.50	2,185.44
5	გადაბმის ადგილების დამუშავება მარალხარისხიანი სილიკონით	მ	260.00	0.90	234.00	0.64	166.40	0.20	52.00	452.40
6	სამშენებლო ნაგვისა და სამშენებლო ნარჩენების გატანა	მ3	8.30	0.00	0.00	11.76	97.61	15.00	124.50	222.11
	სულ ჯამი				**8,372.92**		**4,875.33**		**1,026.00**	**14,274.25**
	ზედნადები ხარჯები	**8%**								1,141.94
	ჯამი									**15,416.19**
	სახარჯთაღრიცხვო მოგება	**8%**								1,233.30
	ჯამი									**16,649.48**
	დღგ	**18%**								2,996.91
	სულ ღირებულება									**19,646.39**

შპს "რონი"
დირექტორი
ნ. კახიძე

შპს "საქაერონავიგაცია
აღმასრულებელი დირექტორი
ე. მირიანაშვილი